135

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №29

08 თებერვალი 2018 წ.
ქ. თელავი

## თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ვ", „დ.დ" და ,,დ.ე" ქვეპუნქტების, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დამტკიცდეს დანართი №2-ის შესაბამისად.

**მუხლი 3.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №07 დადგენილება (www.matsne.gov.ge 29/11/2017, 270070000.35.163.016359)

**მუხლი 4.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 აგვისტოს №16 დადგენილება ,,ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ნამდებობის პირთა და აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, www.matsne.gov.ge 26/08/2014, 270070000.35.176.016016).

**მუხლი 5.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №18 დადგენილება ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და აპარატის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 06/03/2015, 270070000.35.163.016257).

**მუხლი 6.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2018 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი №1*

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის
პირების თანამდებობრივი სარგოები

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | 3100 |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 2800 |
| 3 | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | 1700 |
| 4 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | 1700 |
| 5 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | 1200 |

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი №2*

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

| № | თანამდებობა | იერარქია | რანგი | შტატების რაოდენობა | საბაზისო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი) | თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკრებულოს აპარატის უფროსი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I | 1 | 1000 | 1,7 | 1700 |
| 2 | საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | II | 1 | 1000 | 1,2 | 1200 |
| 3 | საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი | მეორე კატეგორიიის უფროსი სპეციალისტი | III | 1 | 1000 | 0,8 | 800 |
| 4 | საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | IV | 2 | 1000 | 0,7 | 700 |
| 5 | საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | II | 1 | 1000 | 1,2 | 1200 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი | მეორე კატეგორიიის უფროსი სპეციალისტი | III | 2 | 1000 | 0,8 | 800 |
| 7 | საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | II | 1 | 1000 | 1,2 | 1200 |
| 8 | საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი | მეორე კატეგორიიის უფროსი სპეციალისტი | III | 1 | 1000 | 0,8 | 800 |

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე